საჯარო სამართლის იურიდიული პირი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების წესი

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე:
ოქმი № 7. 19.02.2024წ.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი: / შალვა ჭკადუა /

თელავი

2024

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს პლაგიატთან ბრძოლის მიზნით შემუშავებული აქვს პლაგიატის გამოვლენისა და რეაგირების წესი, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი შინაარსით:

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში- ,,უნივერსიტეტი") პლაგიატის გამოვლენისა და რეაგირების წესი (შემდგომში - ,,წესი") შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის №122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - შინაგანაწესის, წესდებისა და ეთიკის კოდექსის საფუძველზე.
2. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს უნივერსიტეტში პლაგიატის შესახებ ინფორმირებულობის, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენის მექანიზმებისა და რეაგირების პროცედურებს.
3. არსებული წესი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის პროცესში აკადემიური ეთიკის დაცვას, საერთაშორისო სამეცნიერო სტანდარტების დანერგვას, პასუხისმგებლობის ფორმების დამკვიდრებას, რათა დაცულ იქნეს აკადემიური კეთილსინდისიერება, უნივერსიტეტის რეპუტაცია და პრესტიჟი.
4. რეგულაციების მოთხოვნები ვრცელდება უნივერსიტეტში დასაქმებულ სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობით დაკავებულ პერსონალზე (შემდგომში - „პერსონალი") და სტუდენტებზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება, პლაგიატის ფორმები

პლაგიატი - სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგის მითვისება, წარმოდგენა და გამოყენება, როგორც საკუთარის, ავტორის მითითებისა და აუცილებლობის შემთხვევაში ნებართვის გარეშე.

თვითპლაგიატი- საკუთარი ნაშრომის გამოყენება მითითების გარეშე.

TURNITIN- მსგავსების აღმომჩენი ელექტრონული პროგრამა.

დაინტერესებული პირი-შესაძლო დამრღვევი, განმცხადებელი, ნაშრომის შექმნაში მონაწილე პირი ან/და სხვა პირი, რომელსაც ინტერესი გააჩნია დავის მიმართ.

მუხლი 3. პლაგიატის პრევენცია პერსონალისთვის

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები და აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სტუდენტთა კონსულტაციის ცენტრი ერთობლივ

საინფორმაციო კამპანიას ახორციელებენ პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების თანამედროვე მეთოდების გასაცნობად.

2. პერსონალისთვის წინამდებარე წესის გაცნობა ევალება ადამიანური რესურსების მართვისა და სტუდენთა კარიერული განვითარების სამსახურს შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისას.

მუხლი 4. პლაგიატის პრევენცია სტუდენტებისთვის

1. წინამდებარე წესის სრულყოფილად გაცნობის მიზნით, დოკუმენტი სტუდენტს გადაეცემა უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებასთან ერთად (ელექტრონული ვერსიით).
2. სტუდენტებში აკადემიური კეთილსინდისიერების ცნობიერების ამაღლება უნივერსიტეტში ხორციელდება აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სტუდენტთა კონსულტაციის ცენტრის აქტივობებით და აკადემიური წერის სასწავლო კურსის მეშვეობით, რომელიც ყველა პროგრამისათვის და ყველა სასწავლო კურსისათვის სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს.
3. აკადემიური კეთილსინდისირების შესახებ სტუდენტთა ინფორმირება მუდმივად ხდება აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სტუდენტთა კონსულტაციის ცენტრის, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების, ბიბლიოთეკის თანამშრომელთა უშუალო ჩართულობით.

მუხლი 5. პლაგიატის გამოვლენა/დადასტურება

1. პლაგიატის გამოვლენა/დადასტურება ხდება განცხადების ან/და ელექტრონული შემოწმების საფუძველზე.

2. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაშრომთა კრებულში სტატიის გამოსაქვეყნებლად სავალდებულოა ნაშრომის ელექტრონული შემოწმება პლაგიატზე.

3. უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალისათვის სამეცნიერო სტატიის/ ნაშრომის გამოსაქვეყნებლად დაფინანსების შესახებ საკითხი განიხილება მხოლოდ ნაშრომის პლაგიატზე ელექტრონული შემოწმების შემდეგ.

4. სამეცნიერო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმებისათვის ნაშრომი იტვირთება სპეციალურ ელ. პროგრამაში (TURNITIN). მსგავსების აღმოჩენის შემთხვევაში, ნაშრომი მოწმდება დარგის სპეციალისტის მიერ.

4.1. ნაშრომში პლაგიატის აღმოჩენისას, დარგის სპეციალისტი საკითხს გადასცემს პლაგიატის შემსწავლელ კომისიას განსახილველად.

4.2. ნაშრომში დასაშვები მსგავსების ზღვარი განისაზღვრება შესაბამისი მიმართულების დეპარტამენტის მიერ, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე. პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში მსგავსების დასაშვები რაოდენობის ზღვარი არ განიხილება.

5. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომები შუალედური და ფინალური შეფასებისას, აგრეთვე, გარკვეული ტიპის წერითი დავალებები პლაგიატზე მოწმდება ელექტრონულად, სპეციალურ პროგრამაში (TURNITIN).

5.1. პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში სტუდენტის ნაშრომი არ შეფასდება და უბრუნდება უკან შესწორებისათვის. სტუდენტის მხრიდან გასაჩივრების შემთხვევაში, საქმეს შეისწავლის პლაგიატის შემსწავლელი კომისია შესაბამისი განცხადების საფუძველზე.

მუხლი 6. პლაგიატის შემსწავლელი კომისია

1. პლაგიატის შემსწავლელი კომისია შეისწავლის და განიხილავს პლაგიატის დადგენასთან დაკავშირებულ დავებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

2. კომისია შედგება მინიმუმ 5 წევრისაგან (თითო ფაკულტეტიდან თითო წარმომადგენელი და აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სტუდენთა კონსულტაციის ცენტრის ხელმძღვანელი). კომისიის შემადგენლობა უნდა იყოს კენტი რაოდენობის. საჭიროების შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია, კონულტაციის მიზნით, მოიწვიოს შესაბამისი დარგის/ქვედარგის სპეციალისტი.

3. კომისიის შემადგენლობას ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით ამტკიცებს რექტორი ორი წლის ვადით. კომისია თავმჯდომარესა და მდივანს ირჩევს კომისიის პირველივე სხდომაზე ხმათა უმრავლესობით.

მუხლი 7. კომისიის წევრის მიერ თვითაცილება

1. კომისიის წევრი ვერ მიიღებს მონაწილეობას საკითხის განხილვაში იმ შემთხვევაში, თუ ის აღმოჩნდება დაინტერესებული პირი.

2. კომისიის წევრი ვალდებულია, განაცხადოს თვითაცილების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ, დაინტერესებულია საქმის შედეგით ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში.

მუხლი 8. პლაგიატის შემსწავლელი კომისიის მიერ სხდომის წარმართვა

1. კომისიის სხდომა დახურულია. კომისია ვალდებულია, სხდომაზე მოიწვიოს პლაგიატის შესაძლო ჩამდენი პირი.
3. კომისიის მდივანი უზრუნველყოფს სხდომის წერილობით ასახვას.
4. კომისია ვალდებულია, დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი.
5. კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კომისიის თითოეული წევრის წერილობით გამოხატული პოზიციის საფუძველზე, ხმათა უმრავლესობით.
6. კომისიის საქმიანობა აისახება კომისიის ოქმში, სადაც დასაბუთებულად იქნება წარმოდგენილი დასკვნა პლაგიატის არსებობის ან არარსებობის შესახებ.
7. პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში, პლაგიატის შემსწავლელი კომისია უბრუნებს ნაშრომს დაინტერესებულ პირს შესაბამისი დასკვნით და მიმართავს უნივერსიტეტის ეთიკის კომიტეტს სათანადო დისციპლინური სანქციის გამოსაყენებლად.

მუხლი 9. კომისიის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირი თვლის, რომ სხდომა წარიმართა პროცედურული დარღვევებით ან დაინტერესებული პირი არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას პლაგიატის დადგენასთან დაკავშირებით, უფლება აქვს, მიმართოს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს შესაბამისი განცხადებით.
2. აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე, რექტორი ქმნის დამოუკიდებელ კომისიას შესაბამისი დარგის გარე სპეციალისტის ჩართულობით.

მუხლი 10. დისციპლინური პასუხისმგებლობა

1. პლაგიატის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, დამრღვევს ეთიკის კოდექსით დადგენილი სანქციების შესაბამისად, დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.
2. დისციპლინური პასუხისმგებლობა პერსონალისთვის ნაშრომში პლაგიატის დადგენისას:

ა) საყვედური

ბ) ხელშეკრულების შეწყვეტა

2.1. ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი განიხილება გარემოებების შესწავლის საფუძველზე და გადაწყდება დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში.

3. დისციპლინური პასუხისმგებლობა პერსონალისთვის სტუდენტის მიერ წარმოდგენილი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომში, აგრეთვე, გარკვეული ტიპის წერითი დავალებებში აღმოჩენილი პლაგიატის დაფარვისთვის:

ა) გაფრთხილება/საყვედური;

ბ) ხელშეკრულების შეწყვეტა

3.1. ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი განიხილება გარემოებების შესწავლის საფუძველზე და გადაწყდება დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში.

4. დისციპლინური პასუხისმგებლობა სტუდენტებისთვის:

ა) საყვედური;

ბ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

გ) ბაკალავრის/მაგისტრის/ დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ჩამორთმევა.

4.1. ბაკალავრის/ მაგისტრის/დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ჩამორთმევის საკითხი დადგება დღის წესრიგში, თუ პლაგიატი გამოვლინდა აკადემიური ხარისხის მინიჭების შემდგომ.

მუხლი 11. გარდამავალი დებულებები

1. წინამდებარე წესი ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.
2. აღნიშნულ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს სხდომაზე.
3. უნივერსიტეტის სტუდენტები და პერსონალი ვალდებულნი არიან გაეცნონ წინამდებარე წესს, რომელიც ატვირთული იქნება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
4. წინამდებარე წესი ძალას კარგავს ახლის დამტკიცების შემთხვევაში.